


# მეცნიერება



სამეცნიერო და სალიბერალური ნახაზიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირას ლ. ლევიანის მიერ

№ 27.

ივლისის 4, 1893 წ.

№ 27.

**წინასწარ:**— ანა მუსხელიშვილის ბიოგრაფია ან. თ. წ. — სა. — გლახა, ლექსი კნ. ნ. ობრელიანისა. — თავიგამიები გორისელი. — მეფე გიორგი ლაშა, გ. წერეთლისა. — ბუნების მეცნიერებიდან დიდი კატუნი ა. დიასმისა. — ნუ ატრადები, ლექსი მ. ბოლქვაძისა. — მონადირე, (ეპისოტი გურისის ხალხის ცხოვრებიდან) ე. ნინოშვილისა. — ხალხური ლექსები. — სიკვდილი და ობოლი. — (თ. რაბიჯაშვილის მიერ ჩაწერილი.) — განცხადებაი.

## ანა მუსხელიშვილისა

**მ**ამი წელიწადი შესრულდა, რაც უღმობღემა სიკვდილმა მოგეტაცა ჩემი ერთი საუკეთესო ქართველი ქალი ანა მუსხელიშვილისა, ბესარიონ ლოლობერიძის ასული. ამ ქალის მტკიცე შეურყიველი ხასიათი და უზომოდ ღრმა სიყვარული თავის მოამბეთა ნათლად იხატება იმის მოქმედებაში

ასეთი იშვიათი ხასიათების ქალი ჩვენს დროს ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა, თუ რომ მხედველობაში მივიღებთ ახლანდელს ოჯახს, სადაც ძველი ზნეობრივი პრინციპი აღზრდისა დაკარგულია და ახალიც, მაღალ ზნეობა განვითარებამდე დამყარებული აღზრდა ვერ შეუვანათ და შევუთესიებათ.



ანა მუსხელიშვილისა.  
ბ. ლოლობერიძის ასული.

ერთი იმ ძველი იშვიათ ოჯახთაგანი იყო ბესარიონ ლოლობერიძის ოჯახი, სადაც აღზრდა იყო დამყარებული მაღალ ზნეობაზე და სათნოებაზე. ასეთს ოჯახში აღზრდილა ნიკოლოზ ბანა ბესარიონის ძე და მათი ბიძაშვილი ბეს. ლოლობერიძეცა.

ზოგჯერ არიან ისეთნი პირნი, მართალია იშვიათნი, რომელნიც თუმცა ვიწრო წრეში მოქმედებენ, მაგრამ მათი გავლენა ისეთ ნაირად აღიბეჭდება ყველა ადამიანზედ, რომ რაც უნდა დრო გავიდეს, დაუეწყარი ჩრება და უფრო ბევრი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე დიდ ნიჭს, რომელსაც ხშირად კაცი ბიროტებით ხმარობს.

ანა მუსხელიშვილისა დაიბადა 1842 წ. ქუთაისში და იქვე აღიზარდა ოთხ-კლასიან წმინდა ნინოს

სასწავლებელში, საცა იმ დროს რევერანსისა და რუსულის მეტს არას ასწავლიდნენ. მით უფრო დასაფასებელია ამ შესანიშნავი ქალის ღირსება, რომელმაც სკოლას შემდეგ თავის-თავი მოაწვდინა საზოგადო მოღვაწეობისათვის. სულ ოც-და-ხუთი წლისა იქნებოდა, რომ ამან განიძრახა ახალციხეში დაეარსებინა პირველი დაწესებულება და თავის განძრახვა აასრულა კიდევ, მერე იმისთანა მიყრუებულ ქალაქში, როგორც არის ახალციხე. ჯერ მამაკაცისთვის საზოგადო მოღვაწეობა რა ეკლით არის მოფენილი, რომ მოღვაწე ქალისთვის რა იქნებოდა. ახალციხის დედათა სკოლა თუ არსებობს აქამდის, სულ მისი მეცადინეობით და მისი გულმოდგინე შრომით არის და ეს სკოლა იქნის ზნეობის საფუძველზე დაარსებული, რომ იქიდან ბევრი მშრომელი მამულის შეიღებები გამოუსულა და ახლაც ამ გვარი სკოლების გამართვა სანატრელია. ამ სკოლის მოწაფეებს ბევრს დაუმთავრებია გიმნაზიაში სწავლა კიდევ და ანა მუსხელაშვილის ხელმძღვანელობით საუკეთესო მასწავლებლები გამოუსულან. ნუ დაღვიწყვებით, რომ ერთი საუკეთესო ქალთა მოღვაწე მთელს გურიაში ნინა ქიქოძის ასული შარაშიძისა არის მოწაფე ანა მუსხელაშვილისა. ეს გულმოდგინე მშრომელი თითონ იყო სკოლის გამძღოლი, თითონ იყო მატერიალური საშუალების მომპოვებელი, თითონვე იყო მასწავლებელიცა.

სკოლა ახლად დაარსებული იყო, როდესაც მე მომიხდა გავლით ახალციხეში ყოფნა და ძნელი წარმოსადგენია, რა გამტაცებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ, თუთხმეტი წლის ქალზედ, როდესაც ანა ბესარიანის ასული თავის სკოლაში ხან ვაკეთითილს აძლევდა, ხან ვარ შემორტყმული ყმაწვილებით უმბობდა იმით რასმე და უკითხვდა. მისი სიკაცხლით სავსე სახე აქამდის თვალწინ მიდგა.

## გ ლ ა ს ა

**ქ**ულროს ვიჯექ, მზის შუქითა ეთბებოდი,  
გამეღელ ხალხისა კრემლით ეცხეწებოდი:  
ღეთის შეიღონი ვართ, მოგვეცი თ მოწყალება;  
ბედმან მოგეცა ეს წანწალი, წვალება.  
უსინათლო გლახა არ გეწყალება,  
ჩემი ნახვა, შეილა, რად გვეჯაერება?

არ მისმინა, გაიარა განზედა;  
გამირისხდა ამ სიტყვების თქმაზედა:  
გათირი, მაწანწალავ, წაიღო!

ოჯახის საქმეებმა აიძულა იგი 1875 წელს დაეტოვებინა თავისი საყვარელი ახალციხის სკოლა და დროებით დასახლებულიყო ქუთაისში. იქაც ეს ქალი მაშინვე ჩადგა საზოგადო საქმეების მეთაურად. სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის თავმჯდომარეთ იყო ამორჩეული და გულმოდგინეთ შეუდგა ღირსი მოსწავლეების ცხოვრების გაუმჯობესებას. იმის სახლში კერადგენ ყმაწვილებისთვის ტანისამოსს, მისივე თაოსნობით იმართებოდა საქველ-მოქმედოთ წარმოდგენები. იმ დროს დაარსდა ქუთაისში საქველ-მოქმედო საზოგადოება ევის-კოპოსი გაბრიელის თაოსნობით, რომლის თავმჯდომარეთ კიდევ ეს ქალი იყო ამორჩეული.

საცა კი წავიღოდა ანა მუსხელაშვილისა, რაც უნდა პატარა კუნჭულში მოხდომოდა ამას ცხოვრება, იგი ყველგან ჰფენდა ნათელს, შეჭქონდა კაცობრიობის სიყვარული და თავის გონიერული გავლენით მბამეღლებს პოულობდა.

ისე არ დაარსდებოდა რაიმე საზოგადოება, ისე არ დაბეჭდებოდა რაიმე წიგნი, რომ ამას თანაგრძნობა არ გამოეცხადებინა, შემწეობა სიტყვით თუ საქმით არ აღმოეჩინა. პირველად ამისგან იყო მიღებული თანაგრძნობის წერილი შესახებ კურნალ ჯგჯილის\* გამოსვლისა

ამას ბოლოს დროს კიდევ მოუხდა ხუთი წელიწადი ახალციხეში ცხოვრება, სადაც ვახდა მიმიე ავად, მაგრამ თავის სულ-გრძელობით არაღის ამწვეინებდა თავის ტანჯვას. მასში, 1890 წელს, ორი თვის ავად-ყოფობას შემდეგ, გადაიკალა ტფილისში და არის დასაფლავებული დიდუბის ეკლესიის გალავანში. კურთხეულ იყოს ხსენება შენი მამულისათვის დაუფიწყარო დედა ანა.

ან. თ. წ.—სა.

აქ ნუ ზიხარ, ამ გზიდან გადადიო.  
დაჩეულობარო წანწალსა და თრეფასო,  
გამეღელ ხალხთა ცარცვას, ფულის რთმევასო.

გმა, შეილა, როგორ არ გებრალეები,  
უსინათლო, დახმული მაქვს თვალეები?  
ბედისაგან ასე განაწირეები,  
დათელილ ია ჩემი დღისა წამეები.

მეც კაცი ვარ, მესმის შიშხილ-წყურვილი,  
მეც თქვენსავით მაქვს სიკაცხლის სურვილი.  
ეისომ სთქვა, ნურვის განიკითხავთო,  
რათ თხოულობს, იმას ნუ იკითხავთო.

ან. ნ. ორბელიანისა

# თავიჭამიები

(ზღაპარი \*)

## V



ავეი-კამიები, როგორც მოგვსენებათ, მათუ-  
სალოს დროს შთამომავალი იყვენ. იმ  
დროს ცხოვრებდა ორი ძმა: ერთს ერქვა  
თავიჭამია, მეორეს თავიფარია. წუთი-სოფლის  
ბრუნვისაგან ბევრი ჭირი, მწუხარება გამოველოთ  
ამ ორი ძმის ნაშენს. რამდენი ძლიერი და განე-  
თარებული ხალხი არ ენახათ, რამდენი სიბრძნე და  
გულთმისნობა არ შეესწავლათ დედამიწის ზურგზედ  
მცხოვრებ ერთგვან, რომელთ ხსენება აღარ იყო.  
ცემა-ტყევაკ, რასაკვირველია, ბევრი გამოკადნათ  
მათგან. თავი-ფარიას და თავი-ჭამიას შთამომებანი  
საკვირველი თვისებისანი იყვენ. რაც უფრო ბევრი  
ქლევთა და ცემა ჰქონდათ ამ ორის ძმის ნაშენს  
გარეშე მტრებისაგან, იმდენად უფრო მაგრდებო-  
და მათი კანი და იმდენათაც უფრო გამძლე შთა-  
მოგება ჩამოსდოდათ. აი, ამითი აიხსნება, რომ  
თავიჭამიასა და თავიფარიის შთამომებამ აქამდის  
მოატანა სოცხლად, მაშინ როდესაც მათი ძლიერი  
და მათი თანდობის მექონე მტრები, დიდი ხანია,  
რაც გავწინდ და დედამიწის ქერქი მათი ძეგლებით  
აიგოს. თავი-ფარიისა და თავი-ჭამიის შთამომებანს კი  
დაეწყურთა თვალები და ეწვეოდენ ცხოვრების დარაშს.  
ეს ორის ძმის ნაშენები მათუსალის დროიდანვე მე-  
ზობლად ცხოვრებულან. იმათი ადგილ-სადგომი მას  
აქეთ არ გამოკელილა. ისინი თითქმის შეზორკე-  
ბოდენ თავიანთ ხრიოკებს და კლდე-ღრეებს. მათ წინა-  
პრებს, ზემოთ-მოსხენებულს ორ ძმას, იმ თავითვე ბევრი  
ხასიათი ერთნაირი ჰქონდათ, ბევრშიაც განიჩრეოდენ.  
მათ შთამომებან ძალიან ეტყობოდა ერთ-სისხლობა  
და ერთხორაკობა, ნამეტნავად ცუდს თვისებებში  
მაგალითად ორივეს ხასიათად ჰქონდნიათ: შინა-  
ურობაში ერთმანეთის ვატანა არ ცოდნიათ. თუ-  
მცა ისიც მართალია, როცა გარეშე მტერი დაეცე-  
მოდათ თავს და აწიოკებდენ მათ ოჯახებს, მაშინ კი  
უცებ შერიდებოდენ, ზურგს მისცემდენ ერთმანეთს,  
შეერთდებოდენ და საერთოდ გასცემდენ პასუხს. ის-  
ინი იბრძოდენ მედრათ და გაკითხვა აღარ იყო, სა-  
ნამ მოსულ მტერს ან არ გაქლევდენ, ან არ გან-  
დენიდენ. იქნება ამ უებარ თვისებასაც უნდა და-  
ვებარალოთ ამითი გადარჩენა.

მაგრამ დრომა-და-ჟამა ამ ერთს ძვირფასს და უე-  
ბარს თვისებას სულ გადაჩნია ერთი ძმის ნაშენი,  
მაშინ როდესაც თავიფარიებში ისევე შენახულ იყო იგი.  
აი, რად? თავიფარიები უფრო განაპირას ცხოვრებდენ,  
საიდანაც მტრები შემოესევოდათ ხოლმე. ისინი პირ-  
ველად თავიფარიებს აწიოკებდენ, იმათ უფრო ეტა-  
ნებოდენ ასაკლებად და ეს უებარი თვისება ერთმა-  
ნეთის გამტანობისა და ზურგის გაწავრებისა რომ არ  
შერჩნოდათ, იქნება ვერც კი გადურჩებოდენ მუდამ სა-  
სტიკს ბრძოლასა. ბოლოს, როცა განაპირას ქვეყნ-  
ებში ევლარ დადგენ, ნელ-ნელა იყრებოდენ და მე-  
ზობელ თავი-ჭამიების ადგილ-მამულში შემოიხიზნე-  
ბოდენ. იმათ თან გადმოჰქონდათ ის უებარი თვისე-  
ბა ერთმანეთის გამტანობისა. თავიჭამიები კი ამ  
დროს გამტანობის მაგიერად სულ გაუტანელობაზე  
ფიქრობდენ: სულ მუდამ ერთმანეთის მტრობისა და  
ბეზლობის მეტს არას აკეთებდენ და ახლა თავის-  
ადგილ-მამულში რომ მეზობელი თავიფარიები და-  
ინახეს, ასტეხეს მაშინვე ყვირილი და კიჟინი და თა-  
ვიფარიებსაც ისე დაერივნენ, როგორც ერთმანეთის.  
თავიფარიები ჭკვიანად ითმენდენ მათ ხეჭრობას და  
გულ-ამყუბას. იმათ სხვა ანგარიში ჰქონდათ. წერი-  
ლი ცოლშეილი შიმშილით ეხობებოდათ, შრომა-  
ბდენ ლუქმა-პურისთვის, დღე-ნიადაგ იძენდენ ძალას  
და წინ მიდიოდენ, მაშინ როდესაც თავიჭამიები  
ერთმანეთის ქიშპობაში დ ჩხუბში ჰტეოდენ თავის სი-  
ცოცხლის ძალას. მათი მიწა-წყალი, ან ჭირნახული  
ერთმანეთის გაუტანლობის გამო ან თავიფარიების შთა-  
მოგებას მიჰქონდა, ან გონიერს სკუდიანების გეა-  
რსა.

## VI

### ქენადმე-ჭაბა

„თვით არ იყო ძმარია,  
შეგ ჩასხსენს წყალი.“

ბოლოს სწორედ ეს ანდაზა დავმართა თავიჭა-  
მიის ერსა. ჯერ თვითონაც არ სჭირდა კარგი თეი-  
სება და შემდეგ ისეთი მოწინავე კაცები გამოეზარ-  
დათ, რომ შინ მოყვარეს გულს უწუხებდენ და გა-  
რეთ მტერს ახარებდენ. ძველი მათუსალის დროი-  
დან დღევანდელი სიბრძნე და მალაიი წყე-  
ჩვეულებულ ეშაველობას გააქარწყლებინეს. ძვე-  
ლი მოწიფული გონების ნაყოფი, სალოარებში და  
ხარობებში საუკუნოებით ჩამარხული, ეილაც ღამის  
ქურდებს გაატანინეს ეს საცა რამ დარჩა, ისიც რქებიან  
ეშააკებს ჩაუარდათ ხელში. იმათ რაზა დაადგეს ზედ

\*) იხილეთ „ქველი“-ს მე-25 №-ი.

და მისი კლიტეების ვასალები ზღვაში გადასიროლეს. ამ სახით შთამოგება დარჩა გონება-განუფითარებელი და თავის უძველესის ზნე ჩვეულების უმეცარი.

მაგვირად ცხრა მთას იქითი ქვეყნიებიდან მოტანილი გონების საუნჯე და ზნეობის საღარო ახალ მოზარდ თავიკვაშიებისათვის კარ-გაღებულნი იყო. უკუღმართმა ახალთაობის კაცებმა შექმნეს ყურილი და ვანგაში: „აი, დაეწყოფითო ამ ახალ-თაობის გონების საზრდოს. ეს ვაგვიღებს სამოთხის კარებსო.“ სა-მწუხაროდ თავიკვაშიების შთამოგების გოგრა ან სულ უფრო გამოდგა ასეთი სიბრძნისათვის, ან ვინც კი შე-ითვისა ეს უტრა ხილი, სულ ვაღარჯულდა და ვე-უკუღმართდა. იმათ კაცური ღირსების წასახი აღ-რა ჰქონდათ რა. მათი გონება მხოლოდ წაბადების მეტს არას აკეთებდა და თხებასით დაკოტინობდნენ განუვალ კლდე-ღრეებში. რაღაც სულ ეშპაკის მოდგმის შთამოგება გაუწინდა თავიკვაშიებს. გარდა ცარცვა-გლე-ჯისა და ობობასავეთ სხვების გამოწოვისა აზრში არა ჰქონდათ რა. დღე-ნიადაც სულ იმაზედ ფიქრო-ბდნენ: ვის რა მოეტაცოთ, სადილათ ვისთან გამოე-ძლეთ და ვახშმით ვისთანო. მაგრამ ამ არამზადლა-ბაში აღზრდილნი და გამოაქრულ ახალ-შთამოგების თავიკვაშიებს შესაღვრი თავის გამაძარ-ღებელი საბუთიც მოეპოვებინათ. ყველას სახეზე პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული, ასე რომ როცა ამისთანა ახალთა-ობის თავიკვაშია გელაპარაკებოდა, სახეს ევრას ღო-ნისძიებით ევრ დაუნახავდი, რომ მიმხვდარიყავი მის ნა-მდილოს გულის პასუსხსა. როცა ის გელაპარაკებო-და, თითქოს რაღაც მომხიბლავი სახამოგენო ხმა ამოდიოდა საღადღა უჯორმულიდან. ეს ხმა ბევრად ჰგავდა სიტკბოებით სირინაზის ხმას, რომელიც ატკბობდა შენ ყურთასინისა და შენ მუთმინველად გაძი-ნებდა, რომ შენდევ არხინად ჩაეყო ხელი შენს ჯი-ბეში და ამოღავა რაც რამ საცხოვრებელი გე-ბადა. ამას ეძახდნენ ისინი შინაურს პოლიტიკას; ხო-ლო თვალების ასაბმელად შენ კი ვაჯერებდნენ: ჩენ საზოგადო, საერთო ქვეყნის საქმეს ვაკეთებთო. ჩენ სულ ძმურის სიყვარულისა და ქვეყნის კეთილ დღე-ობის დამკვიდრებაში ამოვცდის სულიო. მავალითად, როცა რომელსავე მათგანს კუჭი შიშვლით ეწეო-და, თავის ღრეში პირდაპირ არ იტყუა: მე მტკივა კუჭი, პირი არსებისა მკვაშიეთო. არა, ის მაშინვე ასე დაიწყებდა ქადაგებას: „ამდენმა ქვეყნის კუჭის ტკივილმა ამაღლევა, შემაწუხა და მოთმინებიდან გამომიყვანა. ერთი მწუროვალი, ერთი მშვიერი თქვენ შემოგინიის და თქვენ, ჰოი, გულცივო, ზნე-წაშდა-რო თავიკვაშიებო, როგორ არა გეძეთ შეკოდება

დამწეულის მოძმისა, რომელიც უციდურეს კუჭის ტკივილამდე არის მიღწეულიო.“ ასეთი ქადაგებით ყოველს გულ-მარტყეს თავიკვაშიას აერგოდა სისხლი და თანავგრძობით წამოიძახებდა: „ჰა, ჩენო გონება-ზნეობის მწერთელა წინა-მძღვარო!.. აი, ჩენი სა-ერთო საუნჯის ხაროები ვაგვიღია შენთვის. მიიღე იმათი კლიტე-ვასალებები და მიეცი ვისაც კი ში-ა პური არსებისო“. ესენიც რაკი ვაიცილობდნენ იმ ხა-როების გემოსა, თვით მოიშორებდნენ კუჭის ტკივი-ლსა და შესუტლებოდნენ, მერე თავიკვაშიის შესუძლ და ხელ-მოკლე მოძმეებს ასე ვაღებურებდნენ სიტყვას: „მართალია, ბევრია თქვენში მშვიერი ღ უწევეწმუ მავარ-მარებობაში ჩაყარნილი, მაგრამ ნუ დაიფიქვებთ იმასაც, რომ ღარიბს რაც მეტს ატენი, ისე მეტს ალებს პირსაო. მე, როგორც ერის გულ-შემატკი-ვარს, ქვეყნის ხაროები მამარია იმისთვის კი არა, ვაჭირებულს ხელი ვაფუშართო, არამედ იმისთვის, რომ მივლს თავიკვაშიების ერს სიმდიდრე ვაფუშრე-ლოვა“. მაგრამ, სამწუხაროდ, დრო მიდიოდა და ხა-როები თუ უფრო ცალიერდებოდნენ, თორემ იმათ არა ემატებოდათ რა; ვაჭირებული და მშვიერ-მწყე-რელი მაინც ნიადაც შიშვლით კვებოდა. იმ სა-ერთო ხაროებიდან ხელს ევლარავინ ითბობდა იმათ გარდა, ვისაც ისინი გბარა.

ასეთის თავიკვაშიების მოწინავე დასში ყველა-ზედ უფრო ფარისცევი, ყველაზედ უფრო უკულ-მართი, ყველაზედ უფრო გესლიანი, ყველაზედ უფ-რო აე-მეტყულა და აე-ხორცა, ყველაზედ უფრო მყერიალი თავიკვაშიების კეთილდღეობისათვის და ყველაზედ უფრო ვაუმძღარი და მშაკარი საქმი იყო ერთი ახალ-ღროების თავიკვაშია, სახელად მუ-ნ-დ-მ-ე-ჰ-ა-ბ-ა. ამ თავიკვაშიის ამავე ვასაშტერებელი იყო. მის პირბადეში ევრასდერი დღის მუჭი ევრ გაატანდა. ყოველი მისი მოქმედება ღამის სიბნელე-ში იყო დაფარული; დღის სინათლემეც კი ჩნდა მხო-ლოთ მისი ბრწყინვალე საუბარი და ქვეყნის მწუ-ხარებით ვაშტე-ვალული გრძობიერი სიტყვა-პასუხი. თავიკვაშიებისამე გულ შემატკივარი ვოღება და კრო-კოკილინსა, ანუ იქედნეს, მგზავსი ცრემლები მის თვალებს არ ცილდებოდა. მისი მაღალი ღაღადების საკვირებლად ვატაცებულნი იყვენ გულ-მარტყენი და ჯერ კიდევ ცხოვრების მწიკვლით შესუფერონი ახალგაზდა თავიკვაშიები და რადჯან ამგვარი ახალ-გაზდა თავიკვაშიები შთამოგებაში არ გამოიღვოდა, ამის გამო მენადმე-ჰ-ა-ბ-ა-საც გულ-მარტყე თავიკვაში-ების ზურგზედ ვაედვა ხიდი, რომელიც თავის დღე

ში არ უტყდებოდა და ზედ სულ მალაყებიდ ვადი-  
გამოდიოდა.

მენაღმე-ქიპას ამბავი გველია. იმის ისტორია  
გადედევათ შემდეგისათვის. აქ აქვსნი მხოლოდ თა-  
ვიკამიებს რათ დაერქვიათ მისთვის რთული სახელი  
მენაღმე-ქიპა.

იმას ჰქონდა საკირეელი თილისმის ძალი: რაც  
უნდა საზოგადო საქმეს დაახლოვებოდა და ხელი

მოკიდნა, მაშინვე ნაღმსავით აფეთქებდა და ჩაშ-  
ლიდა. ამიტომაც უწოდეს მას მენაღმე; ხოლო ქიპა  
იმისთვის მიუმატეს ზედ-ნადებ სახელად, რომ მეტის-  
მეტი მყვირალა მკვერ-მეტყველი იყო და მისგან  
თავიქამიის ყურებს მოსვენება არა ჰქონდა.

გორისელი

(შემდეგი იქნება.)



### მეფე გიორგი ღაშა

**მ**ახანგ გორგასლანის სიკვდილიდან მოკიდე-  
ბული ბაგრატ მესამის გამეფებამდის ქართლ-  
ში ვაჟიდა თითქმის ხუთასი წელიწადი (499—  
980 წ. ქ. შ.). ამ დროს განმავლობაში საქართველოს  
გვარი დანაწილებული იყო წერილ-წერილ სამთავ-  
როებად. ამათ შორის ყველაზე უფრო ძლიერი იყო  
ქართლის მთავარი, რომლის სამფლობელო შეიცავდა  
მტკვარ-არაგვის და ქსან-ლიახვის ხეობას თრიალეთ-  
თანა. დასავლეთით საზღვრავდა ლიხის მთა; ჩრდი-  
ლოეთით მალრან-დვალეთი და მთიულეთი დარიალის  
კარამდინ. აღმოსავლეთით—კახეთი, გომპორის ქედის  
ჩამოყოლება, ყარაისთან რომ რუსთავის ქალაქი იყო,  
საზღვარი იქ დაწყდებოდა. ქართლის მთავარს შემდეგ  
კარგა ძლიერი სამთავრო იყო ჭანეთისა, ანუ ლაზე-  
რისა. ამ დროს ისინი ლაპარაკობდნენ უფრო სენაურს  
ენაზედ და ჰყუდათ თავის მთავარი გუბაძის შთა-  
მოებისა. მისი გვარი გურიაში დღესაც არ გამქრალა და  
დარქმევია ერთ მდინარი\* ხეობას—გუბაძეულები. კორა-  
ხის სათავე ეკირათ ბაგრატიონთა გვარის მამ-ფალეს\*).  
ალაზნის ხეობას ფლობდნენ ქორ-ეპისკოპოსები, რო-  
მელნიც ეპისკოპოსებიც იყვენ და მთავრებიც. იმათ  
ეკირათ ხელში საერო და სასულიერო უფლება, რო-  
გორც აქამდე თუშ-ხეცსურთა დეკანოზები არიან,  
რომელთა ხელშიაც დღემდის არის სოფლის საერო  
და სასულიერო უფლება. ამათ გარდა ყოველი ცალ-  
კე ხეობა შეადგენდა პოლიტიკურათ თვით-არსს  
დაწყობილებას. ხევისბერი ისეთივე დამოუკიდებელი  
მთავარი იყო თავის ხეობაში, როგორც ქართლის,  
კახეთის, ჭანეთის და ბასიანის მთავრები. შინაურ  
სათემო გამკობაში ისინი სრულებით თავისუფლნი  
იყვენ, მხოლოდ როცა გარემე ძლიერი მტერი შე-

მოვიდოდა საქართველოში: ან სპარსეთის ხელმწიფე,  
ან ვიზანტიის კეისარი, ეს დაცალკეებულნი ქართუ-  
ლი თემები შეერთდებოდნენ მოკლე ხნით, სანამ მტე-  
რი კარზედ აღვათ და, თუ თვითონ ვერ დასლევ-  
დნენ, მაშინ ან ერთს ძლიერს მტერს მიემხრობოდნენ,  
ან მეორეს, ან სპარსეთის ხელმწიფეს, ან ვიზანტიის  
იმპერატორს (იხილე პროკოპიანის ისტორია მეხუთე  
საუკუნე); ასტყდნენ მათ შორის ბრძოლას და ამ სა-  
შუალებით გადაჩნებოდნენ ხოლმე ერთისგანაც და  
მეორისგანაც. მაგრამ თუ გარემე მტრებთან ბრძო-  
ლაში არ იყვენ, შინაური ომი მიიწე განუწყვეტე-  
ლად ჰქონდათ ერთმანერთ შორის. ერთი ხეობის  
თემი მეორეს ებრძოდა, ერთი მთავარი მეორეს ექი-  
შებოდა ასე, რომ აქ წარმოებდა ნამდვილი პოლი-  
ტიკური ევოლიუცია.

ასეთი შინაური ბრძოლის შედეგი თემებს შო-  
რის უნდა ყოფილიყო საუკუნოების განმავლობაში  
ერთის რომლისსამე, ან ორის თემის გაძლიერება და  
სხვების დაღეკვა, დაზავება, ან დამორჩილება. მართ-  
ლაც მცხტრე საუკუნეში გაძლიერდა ლიხის ვადლ-  
მა იმერეთის თემი, რომელსაც ეწოდა აფხაზეთის  
სამეფო. მეათე საუკუნეში ბედნიერმა შემთხვევამ  
დამოაყვრა აფხაზეთის მეფის გვარი დიდ სოხეთის  
მეფესთან, ადარნასე კუროპალატის ოჯახთან, რომლის  
შვილმა დიდმა დავით მეფემ ტაოელმა უმეცკიდრობის  
გამო იშვილა თავის მძისწული და აფხაზეთის მეფის, გიორ-  
გი პირველის, შვილიშვილი, ბაგრატ მესამე. ქართლის  
დიდმა ჰკუიანმა ერისთავმა იოანე მარუშიძემ განი-  
ზრახა საქართველოს თემთა ერთად შეერთება ზღობა-  
ტიყა აფხაზეთის სამეფოს მემკვიდრე, ივერე ბაგრატ მე-  
სამე, ქართლის მეფედაც. ეს მოხდა 980 წელს. ამ  
დროდან დასავლეთ-აღმოსავლეთს მცხოვრებნი სა-  
ქართველოს თემები ძლიერი მეფეების ხელში შეერთ-  
და, შემტკიცდა და შეერთებულმა ძალამ მთელს სა-  
ქართველოს ერს მოუღლინა შინაური მყუდროება

\* მამ-ფალი ნიშნავს მამა-უფალს, ანუ მთავარს.

და კეთილ-მდგომარეობა. იქნება ისტორიამ მეორე მგალითი არ იცის, რომ ორასის წლის განმავლობაში, ბეგრატ მესამედან დაწყებული (980—1184 წ. ქ. შ.), თამარის გამეფებამდის, რომელსამე ხალხს იმდენი სახელოვანი, ზნეობით მაღალი, მხნეობით შეუღარებელი და გონებით შორს გამჭვრეტელი მეფეები ერთი მეორის ზედმიჯნობით მოვლენოდეს; როგორც საქართველოს. ჩამოეთვალათ ბეგრატ მესამე, გიორგი პირველი საქართველოსა, ბეგრატ მეოთხე, გიორგი მეორე, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი პირველი, გიორგი მესამე და თამარი. ორასის წლის განმავლობაში თამარის სახელოვანმა წინაპრებმა განამტკიცეს შიგნით საქართველოს ერის პოლიტიკური წესწყობილება და თემები შეათვისეს ერთმანეთს. ეს ძლიერი პოლიტიკური წყობა გარემომოვლენებულ ჯაჭვად დაედვა მთელის კავკასიის ხალხებს შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდის და აზრუმიდან მოკიდებული თერგამდის და კაპუეტის წყლამდის (ყუბანის მდინარემდის). ამ სივრცეზე დაარსდა ერთი ძლიერი საქართველოს სამეფო, რომელიც მდიდრად იკეთებოდა გარეშე ქვეყნებიდან ძლიერ-მოსილად წამოღებული ნაშობით. მაშინდელს საქართველოს მეფეს მუდამი ჯარი, შეენიერად გაწირთნილი ბრძოლაში, სამოც პაის კაცამდის ჰყოფდა, გარდა საერო და სათემო ჯარისა, რომელიც დაჭირების დროს ორას-ათას კაცამდის გამოიწვეოდა. ასეთი ძლიერებით შემზადებული სახელმწიფო მიეცა თამარს ხელში და მანაც სახელოვანად მოიხმარა თავისი დრო. მთელს მის მეფობის განმავლობაში (1184—1212 წ.), ოც და-რვა წელიწადი, ბეგრატთანა ძლიერ-მოსილი დროში არ შეფერხებულა. ბაღდადის ხალიფა და აღიბეჯანის სულთანნი დამარცხდნენ. მთელს აზიის მამპადიანობას ში მის ზარი დაეცა. სახელმწიფოს ბრწყინვალე სეზემდამ გამოიწვია ერში რაც იყო უჭკვიანესი, უნიჭიერესი და უძლიერესი ძალები. თამარის ბრწყინვალე დროს აღმოჩნდნენ დიდებული მხედართ-მთავრები: ზაქარია მხალკეელი, ბოცო ჯაყელი და გამრეკელი; გენიოსი პოლიტიკოსები: იოანე ორბელიანი, ანტონ ქუთათელი და იოანე მიტროპოლიტი ტბეთისა; სახელოვანი დედაკაცები: ხეაზავი ცოქელი, კარგე ჯაყელი, მამიდანთ თამარისა: რუსუ-

ლან და თამარ; საქართველი ნიჭიერების მწერლები: რუსთველი, სარგის თხოველი, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, შავთელი და სხვ. ყველამ ამით შექმნეს ოქროს დრო საქართველოს გონება-განვითარებისა და პოლიტიკური ძლიერებისა.

გარეშე პოლიტიკური გარემოებაც ძალიან სწყალობდა თამარს. ძლიერი სპარსეთი ამ დროს დაყოფილი იყო ცალკე სასულტნოებად. ბაღდადის ხალიფის ძალა დაამხვეს ჯვაროსნებმა, რომელთაც დაიპყრეს მთელი პალესტინა და ასურეთი; თვით ბიზანტიის იმპერია იმით ჩაუეარდათ ხელში. ასეთი გარემოებით შეენიერად ისარგებლა თამარ დედოფალმა და მთელს მტრე აზიანად განაერცელა თვისი გავლენა. იგი ჯარებით დაეხმარა თავის მონათესავეს ალექსი კომნენოსს და დაარსა კაპადოკიის იმპერია.

## II

აი, ამ დიდებულს დროებაში დაიბადა გიორგი ლაშა. ლაშა ითარგმანება ქართულად სხივი, ანუ შუქი და უდრის რუსულს სახელს ყუყუ. ვინ იცის, იქნება ეს სიტყვა თვით თამარს ჰქონდა პირველი ქმრისაგან ნასწავლი რუსული ენიდან. გიორგი-ლაშა აღიზარდა ფუფუნებაში და დიდებაში. ძლიერ-მოსილმა ბატონობამ მისი დედ-მამისა მის გაამედიდურა ტ თავი შეარაცხებინა მართლაც ქვეყნის მზედ და სინათლედ. დედისაგან განებიერებულს, განაზებულს ცამეტის წლის გიორგის ვერგენი მეფობისა დაადვა თავზედ თამარმა და აღიარა მეფეთ-მეფედ. ვინ იცის, რამდენად უნდა გაეგზვნებინა ცამეტის წლის ყმაწიელი ასეთს ამაღლებას. წლოვანების შეუფერებელი პატივისცემა და თავგასულობა ყმაწილის მეფისა. იქვე ეტყობოდა, სიკეთეს არ დააყრიდა საქართველოს მომავალში, როცა სახელოვანი და ქვეყნის მზრძანებელი დედა გვერდით აღარ ეყოლებოდა შეიღოს დამრიგებელად. აი, როგორ აგვიწერს მატინანე გიორგის პიროვნებას თამარის სიკდილს შემდეგ:

„გამეფდა გიორგი, ძე თამარისა წლისა ათერამეტისა და იყო ესე ტანით ძლიერი, ძალითა მხნე, ახიანნი მოისარ-ჩიეული, მხედრობასა შინა შემპარეთ-

ბელი, ლადა, თგათ-ბუნება. ამ სილაღემ, თითობუნებობებამ და სუბუქმა ხასიათმა თან-და-თან წახდინა გიორგი მეფე და არია ქვეყნის საქმეები. იმას ემძიმებოდა თამარ მეფის საუკეთესო ბრძენ და კჳლიან კარის-კაცებთან ყოფნა. ის შეიპყრო საოცარმა გულის-თქმებმა, შეუყვარდა ღმინი და ღმინის სმა; ბოლოს ამოარჩია იმისთანა თავის ტოლი ახალგაზდები, რომელნიც მეფის სუბუქ ხასიათით სარგებლობდენ და აძულდენ სახელოვანს კარის-კაცებს. ამ დროს განდგა განძის ათბაგი. მეფე თითქოს გამოფხიზლდა უზნეო დროს გატარებისაგან და მოიწვია სახელოვანი დიდებულნი განძის დასამორჩილებლად. კარის-კაცებმა მოხდინეს განკარგულება, შეკრიბეს ჯარი, მივიდენ განძს და შემოხლულდეს ქალაქი. «ხოლო დღესა ერთსა ინება მეფემან გარ-მოყვლა და მოთვალეა ქალაქისა... იხილეს მოქალაქეთა და სცნეს მეფედ». მაშინვე ვაღდეს ქალაქის კარი და მიეტევენ მეფეს შესაპყრობად ათი-ათასი მხედარი განძელი. მეფეს თან ახლდა მხოლოდ ოთხი ათასი მხედარი, რომელთაც შესძახეს: «განვიწიროთ თავი ჩენი და არა ვარცხენით პირველი მეფობა შენი». შეიქნა საშინელი ომი ქართველებმა დიდურინეს განძელები და შერევეს ხოცვით ისევ ციხეში, ვახდა დიდი ხმაურობა, ამ დროს დანარჩენი ქართველის ჯარებიც მოესწრენ. ქართველმა მხედართ მთაერებმა ასეთი მოქმედება მეფისა თავხედობად ჩათვალეს და საყვედური უთხრეს: თუ მაგისთანა თავისნებობა არ დაგიშლია ლაშქრობის დროს, ჩვენ გავგეღლებითო. გიორგი ლაშა ვაღმობტა ცხენიდან და ისე ევედრა ქართველ მხედართ-მთაერებს, რომ აპატიონ ეს ერთი შეცოდება და კვლავ თქვენ დაუკითხავად არასფერს განვიზრახავო.

მეფე გიორგი მობრუნდა თუ არა ტფილისს, ისევ ერთო ქალების არ მოყვამასა ღმინის სმაში, ტოლოებთან ერთად ლამაზობით ქალაქის ქუჩებში სიარულში და დაიწყო მცხოვრებლების შეწუხება. ერთხელ ერთი ოჯახიდან, საცა გიორგის სატოფო ეგულებოდა, გამოუარდენ შუალამისას კაცები, რომელთაც მეფე ვერ იცნეს, ძალიან სცემეს გიორგი ღმინის აფსონები. მეფეს ცალი თვალი წაავდებინეს. ქათალიკოსი და კარის-დიდებულნი ძალიან სწუხდენ ასეთს უწესო ქცევას

მეფისა და სთხოვდენ, ცოლი შეერთო, მაგრამ მრავალ გვარ სიამოვნებით გამძღარს მის გულს არაუხად გზიანებოდა ერთ-ცოლობა. ერთხელ კახეთს ევლისციხეში გიორგიმ შეესწრო თვალი ერთ ლამაზ ქალს, ეტრფილა, მოსტაცა ქმარს იგი და წამოიყვანა ტფილისს თავის სასახლეში. ამ ქალთან ცოლა მას შეილი დაეთ.

შეკრბა სახელმწიფო რჩევა კარის-კაცებისაგან უზალღეს საღვდელოების თანა-დასწრებით. სახელმწიფო რჩევაზე იყო ორი საქართველოს კათალიკოზი. იმათ ვადასწყვიტეს წავეარონ მეფეს ქალი, დაუბრუნონ ისევ თავის ქმარს და მეფეს ძალა დაატანონ ცოლის შერთვებედ. თუკა ქალი წავეარეს, მაგრამ მეფემ მიანიც არ შერთო ცოლი. ბოლოს, მეტი რა ღონე ჰქონდათ, ქალი ისევ მიიყვანეს მეფესთან; მაგრამ ამიერიდან მეფესა და წარჩინებულ საქართველოს გულშემბატყავარს კაცებს შორის მოხდა სიძულილი. მთაერები განწმარენ სასახლეს. იოანე მხარგრძელი წავიდა თავის სამკლობელოში; ჭყონდიდელი ანტონი და ქათალიკოსი აღარ ეკარებოდენ. დაბაღმა სამღვდლოებამ იწყო უწესო ცხოვრება. ჯარი მეფისა გაირყენა; იმათში სამხედრო სული ვაქჭა; მეფის შემხედვარე ჯარი და ერიც გავრთო განცხრობაში და სმა-ქამაში. სამხედრო ვარჯი შობას და ლაშქრობას ყველამ თავი მიანება.

აი, ამ დროს დატრიალდა საქართველოზედ ღმინის რისხვა. ასი წელიწადი იყო, რომ ბაგრატიონთ სახელოვანი დროშა ოშში უკან არ დახეულიყო. ამ დროს დარუბანიდან გამოვიდა ცხრამეტი ათასი ცხენოსანი, რომელნიც ისხდენ დაუქედლოს ცხენებზედ და მხედართ, გარდა შეილდისრისა, სხვა იარაღი არა ჰქონდათ-რა. ისინი გამოეშურენ საქართველოს საზღვრისკენ და დადგენ ბერთუჯის მდინარეზედ. ცხენი იყვენ წინა რაზმი მონგოლებისა, ჩინგის ყანისაგან გამოგზავნილი ქვეყნების დასახვერავად და დასათვლიერებლად.

გიორგი-ლაშამ შეიტყო თუ არა უტხო ჯარის მოსვლა თავის საბრძანებელში, შეკყარა ლაშქარი 90,000 კაცი მატანეს მოწმობით. ერთი ამდენიც იოანე მხარგრძელმა მოაშველა სომხეთის ქვეყნებიდან.

პირველად მოხდა საკვირველება, რომ ცხრამეტმა ათასმა თათრის ცხენოსანმა ას-ოთხმოცი ათასი ქართველ-სომეხთა ჯარი დაამარცხა და წინ წარიქცია. აი, როგორ იყო საქმე:

თათრებმა ორად გაჰყვეს თავის ჯარი. ერთი დამალეს და მეორე კი გამოვიდა საბრძოლად. ქართველებს ერთბაშით უნდოდათ ამ ერთი მუჟა ცხენოსანი ჯარის შემუსრა; მაგრამ თათრებმა მალე ზურგი უჩვენეს და ფეხ-მალმა ტყვეს ცხენებმა ძალიან შორს გაუსწრეს წინ ქართველების ცხენებსა. ქართველნი უკან გამოუდგნენ მათ ღამ დროს ჩასაფრებული ცხენოსანი ჯარი თათრისა ზურგით მოექცა ქართველებს და დაუწყეს ისრით ჭლტვა. ქართველები ამას არ მოელოდნენ და აირივნენ. ამ დროს წინ გაქცეულმა თათრის ჯარმაღ იხვე გამოაბრუნა



მეფე გიორგი ლაშა,

13 წლის ცრმა, მეფედ ნაკურთხი თამარის მიერ.

გადმოღებული ბეთანიის ტაძრიდან

თავისი ცხენები რისხვით და შეჩოტულია ქართველებს. თათრებმა შუაში მოიმწყვდიეს ქართველები და ისრის სროლით ააწყეს. ეს პირველი იყო ასეთი სამარცხინო დამარცხება ქართველებისა და თავი მიზღვი კითხვით გიორგი ლაშას უკადრისი ცხოვრება შეიქნა. რაკი იმან ერთხელე წახსნა აღიერი მფლობის ძლიერებას, თეთიონაც გარიყვნა, ერიც გარიყვნა, და ჯარს დაუკარგა ხნუნობა. შედეგი ამისა იყო ეს მოულოდნელი უბედურება, რომელსაც ქართველი მატინანე აღიარებს ღვთისისრისხვად, ქართველებზე ზნე-დაცემულობის გულისათვის მოვლენილად.

ეს ამბავი მოხდა 1220 წელს ქრისტეს შემდეგ. ამას იქით გიორგი ლაშამ კიდევ სამი წელი იცოცხლა. იგი მიიქცა 1223 წელს და დაფლეს გელათს.

გ. წერეთელი.

## ბუნების შეცნირებებიდან

### დიდა კატუნა.

**მ**ინც კი დაუკვირდება ამ სურათს, მაშინვე მიხვდება, რომ დიდ ირემს დასცემია ზურგზე უშველებელი კატა. მართალიც არის. ეს ნადირი კატუნის გვარისაა, სახელად ჰქეა „დიდი კატუნი“. ამ ნადირს ჩვენში ეერ შევხვდებით. იგი წინა დროს ბუნაგობდა ევროპის ტყეებში; ახლა კი დადის მარტო რუსეთის, სკანდინავიის, კარპატის და ალპის მთებში; ჩვენში ამ კატუნის გვარი გარეული

კატა; ის განირჩევა დიდი კატუნისაგან ჭლილი ფერის ბეწვით, რომელიც აჭრელებულია შავი ლაქებითა. დიდ კატუნს აქვს გრძელი, წვეტიანი ყურები, ზედ ფიჩები ასხია; ყბებზედ ქეჩო აქვს გამოსული. ამის გამო პირველ შეხედვისთანავე შეგიძლიათ იცნოთ დიდი კატუნი. მოზრდილი დიდი კატუნი ეფეხზედ ნაკლები არ არის; ტანით სხელია, კუდი მოკლე, თითქოს მოჭრილი აქვს და კარგა მძიმეა. ამხელა პირუტყვის, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს თავის შესაფერი ღონე და სიმარჯვე, ასე რომ ძალიან მოსარიდებელი მტერია ტყის მცხოვრებლებისათვის





ღრღი კატენი, ირემს დასკეშია ზურგზედა.

დიდი კატუნი კარგათ აღის ხეობებზე და უფრო ეტანება დაბალ შტოებს, საიდანაც თვალს ადევნებს და ხან-და-ხან დიდი ხნობით უღარაჯებს გარეულ პირუტყვს. რაწაშვე შენიშნავს ახლოს გამოვილილ მხეცს, კატუნი გადმოხტება ხიდან, დეცემა ზურგზე პირუტყვს და ჩაელვებს პირს კისერში, კატუნი ისე ღრმად ჩაურკობს ხოლმე თავის კლანჭებს ნადირს, რომ ყოფილა შემთხვევა, გელარ ამოელოს თათები და მაშინ პირუტყვს თავის მხედარი შორს გაუტაცნია ხოლმე. ნორვეგიის ვაზეთში იყო მოხსენებული, რომ ერთ დღეს თხემის ჯოგი შემოაციინდაო სოფელში: ერთ იმათგანს ზურგით მოჰყავდა კატუნი და ისე მაგრად დაჰკროდა ზედ, რომ მარტო, როცა მოჰკლეს, მაშინ ვაათავისუფლეს საწყალი პირუტყვი მის კლანჭებისგან. კატუნი თუ პირველი ნახტომით ასცდა თავის მსხვერპლს, მერე აღარ სდევს. ის ისე დაბრუნდება თავის აღავას, საიდანაც უღარაჯებდა პირუტყვს და განაგრძობს თვალის დევნას ახალს ნადირზე. დიდი კატუნი, როგორც ყოველი მტაცებელი მხეცი, ფრიად სისხლის-მწყურვალეა; ისეთ-ნაირად უყვარს მას თბილი, ახალი სისხლი, რომ ზოგჯერ დაეიწყებოდა კიდევ ყოველივე სიფრთხილე. თუ ტყეში ბლომად მოიპოვება გარეული პირუტყვი, კატუნი კმაყოფილდება ამით და შინაურს პირუტყვებს აღარ ერჩის. როცა მშობრია, ღამით შორს დასწანწალავს: ან თავს წაადგება გარეთ დარჩენილ საქონელს, ანუ შეძებრა კიდევ საჩქებში. შევიცარიაში იყო მაგალითი: კატუნმა საჩქების კედელ ქვეშ შეთხარა ხერხელი და შეჭყო შინით თავი, მაგრამ აქ თხა ისე ღონი-

რათ დაეტაკა დიდი რქებით დაუპატიჟებელ სტუმარს, რომ იქვე სული გაადგებინა. ეს ნადირი ძალიან იშვიათია; ბუნაგობს გაუელს და დაბურულ ტყეში, ხეობაში ანუ ხრამში, სადაც დიდი კატუნი უშიშრათ ატარებს დღეს, ღამით კი გამოდის სანადიროთ. როცა ამ პირუტყვზედ სანადიროთ მიდინ, უფვეელათ მიჰყავთ თან გამოცდილი ძაღლები, რომელნიც არასოდეს არ მიუხლოვდებიან ხეს, სადაც ზის დიდი კატუნი; ესენი დადგებიან ხოლმე შორი-ახლოს და თავის ყვეთი უძახიან მონადირეს, რომელიც მივა თუ არა, ადვილათ ჰკლავს საშიშარს მხეცს. ვაი იმ მონადირეს, რომელიც ერთი სროლით ვერ მოჰკლავს და მხოლოდ დაჭრის. დაჭრილი კატუნი საშიშარი მტერია; მაშინვე მჭეინვარეთ მივარდება მონადირეს მკერდზედ და ღრმით ჩაურკობს თავის კლანჭებს. თუშეა ნადირობა ამ პირუტყვზე ასე სახეფათოა, მაგრამ მაინც ბევრია მისი მსურველი, რადგანაც თითონ კატუნი მანებელი მტერია საქონლისა, ამასთანავე მისი ბეწვიც კარგ ფულს აძლევს მონადირეს; თითო კატუნის ტყავი ღირს თორმეტ-თურამეტ მანეთამდე. ზოგიერთი ხალხი, ე. ი. იაკუტები, თავის ტანისამოსს ამ ბეწვით აშვენებენ. კატუნის ქსუსს ადვილად მიჩევენ ხალხს. ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ ეს პირუტყვი თხთმეტს წელიწადზე მეტს ვერ იცოცხლებსო. დიდი კატუნი ძნელათ იტანს სიმსუქნეს და გალიას, იმიტომაც ძალიან იშვიათათ შეხედებით ამ პირუტყვს საზოოლოგია ბაღებში.

ა. ლისამიძე



## ნუ ატირდები

(მიბაძე)



ანრისხდეს ცაი. იქუხოს მკაცრად,  
ქარი შხალდაცა აქესა ზღვაზედა  
დაძებროს ხომალდს, აფრებსა მძაფრად  
და მოაბერტყოს ზეირთი ზეირთზედა.

ნუ ატირდები ბეწვბერ ხომალდზედ:  
დილა მოადწვეს, ზღვა დაწწარდება;  
და წწარის დენით აღთქმულ მიწაზედ  
მივიყვანს — ნატრავ აღვისრულდება...

მალ. ქობულაძე.

# მ ო ნ ა დ ი რ ე

(ეპიზოდი გურიის ხალხის ცხოვრებიდან)

## I

**მ**ცოდრომის საღამო იყო. მოწმიდელ ცასქვეშ, თითქო სძინავსო, ისე გაყურებულყო ბუნება. ბეჯანა ტყისპირელიძემ ჩამოუშვა ხიდან ჩხავრის<sup>1)</sup> ყურძნით სავსე უკანასკნელი „გიდელი“<sup>2)</sup> ჩამოვიდა ძირს და, როცა დახედა დანაცრულოს და გაფუჭებულს ყურძენს, ამოხვებით თქვა: „რომ აღარ იქნა, შენც ქე უნდა დეთხოვო! რასაც პირი შენკენ არა აქ, იგი ძალით არ იქნება. ამას ქვია ყურძენი?!.. ამისთანას უწინდელს დროში ღორების საქმელათ ყყრილით.“ ერთ ხანს კიდევ დაღონებული უმზერდა ბეჯანა ყურძენს, შემდეგ გახედა დაღუმებულს ბუნებას, სახემ გაულიმა და ფიქრში შემდეგმა აზრმა გაურბინა: „რა იაკამა დარია! მონადირის გული ვერ მოითმენს ამღამ სამზირს<sup>3)</sup> წაუსვლელობას.“ ამ ფიქრს შემდეგ ბეჯანამ დაჩქაროდ წამოაგეო გიდელს ხელი, მიიტანა, ჩაუყარა საწინებელში და ჩქარი ნაბიჯით გასწია სახლის კენ. — ილიტე, ერთი კვერი<sup>4)</sup> გამომიტეცე, ამელამ ერთს სამზირს წაეღ,“ უთხრა მან ცოლს სახლში შესვლისთანავე. მინამ ცოლი კვერს გამოუტეხობდა ბეჯანამ გამოიტანა თავისი ყურიში<sup>5)</sup> (თოფი), გასწმინდა ჩერთ და გამოცვალა ფალიაზე პირის წამალი. ბეჯანას ბაემები მიხედენ: — „ბაბა, ტყეში მიხელო? წიწიას მეიტან?“ ერთი ორი-სამი წლის ბავშვში მეტადრე ყოველ წამში ეკითხებოდა: — „ბაბა, ღოლის თავს მეიტანა?“ — კი, შეილო, თუ კი მომცა ევენე მახარობელმა, თავსაც მეეიტან და გვაღუმასაც,“ აღერსიანად ეუბნებოდა პაწია შვილს ბეჯანა. თოლიამ (ძალოსს სახელია) დაუნახა თუ

არა პატრონს თოფი ხელში, მიიბრინა მასთან და კულის ქიკინით აცხადებდა თავის სიხარულს. ის დიდი ხანია აღარ წაევენათ სანადიროდ და ამიტომ მოსწყურებოდა ერთი ტყეში განაეარდება და ნადირობის ომი. როცა კვერი გამოტეხა, ბეჯანამ დაადო ზედ ხმელი ყველი, გამოკრა „სახოცი“<sup>6)</sup> და მოაკრა სარტყელზე საქონეს, „ყანთარქილის,“<sup>7)</sup> და თოკის სახლოგეს, ჩამოიკიდა წელზე თავისი დიდი დანა, გადაიკიდა მხარზე „ფალასკა“<sup>8)</sup>, წამოაცო თოფს „ხალთა“<sup>9)</sup> გაიღვა მხარზედ, დაიწერა პიჯეარი — „ღმერთო და ივანე მახარობელო, შენ ვამიპარჯეო და გაუღვა გზას, თოლია დაედენა უკან, მაგრამ საბრალეო ძაღლს გაუმტყუნდა იმედი: ის მოაბრუნეს უკან, რადგანაც ბეჯანა „სამზირს“ მიდიოდა, სადაც ძაღლი არ მიჰყავთ.

მზე ჩავიდა კიდევ, როცა ბეჯანამ ტყეში შეყო თავი. დაბურულ ტყეს, საცა ამ დროს ფოთოლიც არ იწიკოდა, რაღაც საიდუმლო სახით ედებოდა და მის სიბნელე უჩვეველ ადამიანს, რა თქმა უნდა, ეს დაბურვილის ტყის მღუმარება და სიბნელე შეაშინებდა. მაგრამ ბეჯანას რაღაც ნეტარებით აუტოკდა გული, როცა ტყის ჰაერი მოხედა პირზე. მისთვის ამ დაბურვილი ტყის მღუმარებაში მთელი პოეზია იხატებოდა. მისი ღაზათიანად მოყვანილი ტანი, მსხვილ-მსხვილი წარბები, მრისხანე თვალები და გაბურჯენილი შავი წვერი რაღაც გარმონიულად ეთანხმებოდა ზემო-აწერილ ბუნებას. სიბნელე უფრო-და-უფრო წებოდა ტყეში და სამზირარი შეხედულობა ედებოდა არე-მარეს. მაგრამ ბეჯანა კი ისე უშიშრად და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა, თითქო შუადღისას კარგად ნაცნობ გზა-ტყეკილზედ მიდისო. ის აგრე ორმოც-და-ხუთი წლის კაცი იყო და, რაც თავი ახსოვს, იშვიათად ყოფილა თვე, რომ სამი-ოთხი დღე მანც სანადიროდ, ან „სამზირს“ არ გაეტარებოს ტყეში. ტყე მისთვის სატრფო იყო, სატრფო რომლის ნახვა მით უფრო სასტამოენოა მიჯნურისთვის,

<sup>1)</sup> ჩხავრი—ერთი გვარის მაღალი ხის ვენახია, რომელიც გურიაში მოჰყავთ.

<sup>2)</sup> გიდელი—შაქრის თავისავით მოყვანილი, ყურძნის საკრეფი კალთია.

<sup>3)</sup> სამზირი, სამზირობა—დარაჯი, დარაჯობა, უძალოთ ნადირობა.

<sup>4)</sup> კვერი—მკალის მავიერად იციან ხმარება გურიაში.

<sup>5)</sup> ყანთარქილა—თოფის წამლის საწევაოა.

<sup>6)</sup> ფალასკა—მასრების ჩასაწყობად შეკრული სამუცე (მასრებში თოფის წამალს იწახვენ მონადირეები).

<sup>7)</sup> ხალთა—შვლის, ან თხის ტყავი, შეკერილი თოფზე ჩამოსაცმელად; ხალთა იფარავს ჩახმას დასველებსაგან.

რაც უფრო შორს არის სხვა აღმნიშნის თვალსაზრისით, რაც უფრო მის გარემოებებში მდებარე მყუდროებით არის მოკლული. ტყისა და ნადირობის შესახებ ბევრ-ნას ბევრი ზღაპრები და მოთხრობები ქონდა გაგონილი, რომლის გაელენით ტყე მის თვალში სულიერი არსება იყო. ფანატისკოსს ბევრნას იქიცი არ შექონდა ზღაპრებში მოთხრობილი ამბების სინამდვილეზე. მართალია, ბოლო დროს ბევრნა ძირიელ ჩიოდა ნადირის გადასვლაზე, მეტადე გულს უთუთქებდა ბევრნას გარემოება, რომ იმ ტყეებში, სადაც მას ფეხი მიუწვდებოდა, ირემი სრულიად მოსპობოდა—ბევრნას ფიქრით, რკინის გზის ბრალი იყო, ამიტომაც ძლიერ ევაჯერებოდა ეს ცივილიზაციის ნაყოფი, —რკინის გზა, რომელიც ახლო იყო ბევრნას სატრფიალო ტყესთან. იყო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ძლიერ აჯაჯრებდა ბევრნას: ტყე, რომელიც ბატონ-ყმობის დროს თითქმის სოფლის საკუთრებას შეადგენდა, იქ ნადირობას და ხე-ტყის მოჭრას ვერაფერი დაუშლიდა, რამდენიმე კაცმა—თავდაზნაურმა—დასაკუთრა და უბაჟოდ გარეშე პირს აღარ შეემძლო გაჭაჭანება. ამ გარემოებამ ისე გააჯაჯრა ბევრნა, რომ ნადირობაზედ ხელის აღებასაც კი აპირებდა. ერთ წელიწადს მიატოვა კიდევ თავისი საყვარელი ხელობა. მაგრამ მეტო კი ვეღარ შეიძლო, ისე მოენატრა თავისი სატრფო—ტყე, აღიწვება ერთი თავადისაგან და მიჰყო ხელი ხელ-ახლავ ნადირობას. უნდა შეენიშნათ, იმ თავადს გარდა, რომელმაც ბევრნას ნადირობის ნება მისცა, სხვა კიდევ ბევრი პატრონი ჰყავდა, რომლებიც ემუქრებოდნენ ბევრნას—ნუ ნადირობ ჩვენ ტყეში, თორემ ჯარიმას გადაგახდევინებთო. ამიტომაც ბოლოსდროს ბევრნა აღრინდულა ხშირ-ხშირად აღარ დადიოდა ტყეში და, როცა წავიდოდა, ცდილობდა არავის ენახა.

ტყე ბნელეთად იყო ქცეული, როცა ბევრნა მივიდა ერთი უზარ-მაზარი მუხის ძირში, რამდენსამე ადგილას დაიხარა, გაუჩერა მიწას თავისი გამჭრიახი თვალები, რომლებიც ბნელაშიაც საკმაო კარგად არჩედა საგანს. როცა დარწმუნდა, რომ წუხუელ ღარი ყოფილა რკოხეო, გავიდა მუხაზე, ამოირ-

ჩია ისეთი ტოტი, რომელზედაც მოხერხებულად შეედ-ლო ჯღომა და დარჯობა და დაჯდა ზედ. ყველი და მჭიდი კი, რომ ნადირს სუნი არ მოხედვოდა და არ დამუთხალიყო, შეხვია მუხის ფოთლებით და ჩალო ერთი დიდი ტოტის ლაჯში. იჯდა ბევრნა ნა თოფ-მომარგებელი და სმენად ვადაქეული. ვა-ვიდა ხანი და ტყის მღუმარება დაარღვია ტურების უსიამოვნო ჰყვილმა. როცა ტურების ჰყვილი შეწყდა და ტყე, ეს ეს არის დაღუმდებო, გვანგობო-და, გაისმა ტყის არე-მარეში გულის შემზარი, ვა-გრძელებული ზუილი მგლებსა. კარგა ხანს გაისმო-და, გლოვის ზარივით, მღუმარე ტყის სივრცეში ეს საზარელი ხმა. ბოლოს ისიც დაღუმდა. უკანასკნელ იქვე, ბევრნას გვერდთან, წინახუბენ კვერნები, რამ-დენსამე წაშს ჰაჭუნებდნენ, თითქმის კბილებით ყელს დადრავდნენ ერთმანეთსო. მაგრამ უკანასკნელი ხმაუ-რობაც ჩქარა გაჭქრა ჰერში და მთელი არე-მარე ისევ დაინთქა ბნელით მოკლულ მღუმარებაში. ბევრ-ნა იჯდა ტახტზედ გაუნძრევილად. ის მხოლოდ ხან-და-ხან შეხედებდა ცას, რომ შეეცყო ვარსკვლავებზე რამდენი ვაიდა ღამის და რამდენი დარჩა კიდევო. როგორც ტყეში მოსიარულე, ის თითქმის შეუც-დომლად ატყობდა ვარსკვლავების მსვლელობაზე დროსა და მხარეებს. იცოდა აგრეთვე ორი-სამი დღით აღრე წინასწარმეტყველობა დარ-აედრის შესახებ და იშვითადაც გაწილიერებდა მისი წინასწარმეტყველო-ბა ამ საგანზე; და ცდილი ქონდა წლის დროებიც და წინდაწინეც ამბობდა: «წრეულს გვალივანი ზაფ-ხული იქნება», «ზამთარი აღრე დეიწყება», «ჩუქრო-რიანი ვაზაფხული იქნებაო» და სხვა. მართალია ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება ხშირად ტუფელი ვამოდგებოდა, მაგრამ ხან-და-ხან კი გამართლებულა.

შულამისას მუხას ქვეშ გაისმა ფაჩა-ფური. ბევრ-ნამ აცქეცა ყურები, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ მუხას ქვეშ დადიოდა ტურა, რომლის გულისთვის ის ახლა თოფს არ დასცლიდა. მაგრამ ტურის ნახვა კი ესიამოვნა ბევრნას, რადგანაც კარგ ნიშნად ჰქონ-და «დაცლილი». როგორც კრუ მორწმუნე, ბევრნა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ასეთ «დაცლას»: სკინ-ჩას (ფრინველია) ძახილი, ყურის წივილი, ტურის ნახვა, კურდღლის ნახვა და სხვა ამ ვაჯრები, ბევრნას

ფიქრით, უტყვევლად, რისამე მომასწავებელი ნიშანი იყო ადამიანისთვის. ძლიერ ეშინოდა კიდ ბეჟანას „დაყაღბების“, რომელიც ბეჟანას და ყველა იქაუ-რი მონადირეების ფიქრით, მფლობარეობს შემდეგში: როცა ორი, ან მეტი ამხანაგი ჯერ ერთად ნადირობს და შემდეგ გაიყოფება, შესაძლებელია, რომელიმე მათგანმა რაღაც საიდუმლოზედ გავლენით ნაამხანაგარი „დაყაღბობს“. „დაყაღბებულის“ ტყვია ნადირს აღარ მოხვდება. თუ მინცა და მინც მოხვდა, ვერ მოქმედებდა, უმნიშვნელოდ ძირს ვარდებოდა. დაყაღბებულს არ შეუძლია დაქარილი ნადირის სისხლი დანიახოს და სხვა. ერთი სიტყვით, სანამ „ყაღბს არ აიხსნის“, მისი ნადირობა გაუფუჭებულია. ყაღბი ამ ნაირად უნდა აიხსნას: ნაამხანაგეები ერთ დღეს ხელახლად ერთად წაელენ სანადიროდ, რასაც იმ დღეს იშოვნებენ, ისე გაიყოფენ, რომ არავის არა ეწყინოს რა, საღამოს ერთმანეთს ამოლოცევენ და გათვად—„ყაღბი ახსნილია.“

გავიდა შუა ღამეს შემდეგა რამდენიმე საათი და ნადირის ჭკანება არსად ჩნდა. ბეჟანა დალონდა: ნუ თუ ის ხელ-ტარიელი უნდა წასულიყო შინ? იგი დასაქცეველი რომ აღარ არის ნადირი, იგია ორი ბუსუნაკი ღორი ადგია ამ სიდიდე ტყეში, იგი რომელ მუხას ქვეშ შეევა, აბა, რას მიხვდები! — ამ ფიქრში იყო ბეჟანა, რომ მისმა მახვილმა ყურებმა გაიგონა შორს რაღაც ხმაურობა. ბეჟანამ გატყვირა სული. რამდენსამე წაშე შემდეგ მუხას ქვეშ შევიდა ერთი გროვა ღორი, რომელსაც მედიდურად მოუძღვებოდა წინ ზორბა ტახი და ხან-და-ხან დინჯათ ღრუნტავდა, თითქოს როგორც მეთაური, რაღაც დარბეგბას აძლევს უმცროსებს. ბეჟანამ ნელა ჩამოაპარა თოფი მუხის ტოტებში და დაუმოხანა მეთაურს. არ ვასულა წუთი, რომ მდუმარე ტყე გადღობა თოფის ხმამ, რომელიც კარგა ხანს მიღობდა ხუილ-ხუილით სადღაც შორს-შორს. ბეჟანა სრულიად დაიშფრთხილი, რომ მისი „ყირიმი“ მიხანს არ ასდებოდა, ნელ-ნელა დაეშვა მუხიდან, რომ აეჭნა მისგან მოკლული ღორი

მეორე დღეს, დილაადრიათ, ხორცილად დატვირთული ბეჟანა, მხიარული სახით მივიდა ცოლ-შვი-

ლთან. ბეჟანას ბეშებში აღტაცებით შემოხევიენ ზორბა ტახის თავს, რომელსაც აქეთ იქით თეთრად უელვარებდა ეშვებო. ბეჟანას მეფლზე, ივლიტეც ბოეშვიით გამხიარულდა და ისე უყურებდა ქმარს, თითქოს უნდა უთხრას:—მოდი დაგიკაცონო ის ულამაზო, მაგრამ ევაკაცური სახეო. მართალია, ბეჟანას სახლში ნადირის ხორცი იშვიათი არ იყო, ნელდი, თუ შაშხი წლიდან-წლამდე არ გამოიღოვოდა, მაგრამ ასეთი სამაგალითო დიდი ტახის მოკვლა ამ ნადირთა სიძვირის დროს მინც კი დიდი სასიხარულო რამ იყო მთელი ოჯახისთვის.

ბეჟანამ მოიშველია სამი მეზობელი, მოიტანა შინ ხორცი, რომელიც მოტანას თანავე დაანაწილა და თითო კერძი თითქმის ყველა მეზობელს და ახლოებელს მიაწვდინა. თავადს, რომელიდანაც ნადირობის ნება ქონდა აღებული, რა თქმა უნდა, საუკეთესო ასო ნანადირეებისა მიართვა.

## II

მთელ იმ სოფელს მოეფინა ამბავი — ბეჟანამ იმისთანა ტახი მოკლა, რომ „როგო\*“) ქონდა ბეჭებზედ. კარგა ხანს იკმარა ამ შემთხვევამ სალაპარაკო მასალად, მეტადრე ბეჟანას მეზობლის ქალებისათვის და უკანასკნელ, როგორც იქნა, მისცეს დაეწიყებას. ბეჟანას ხომ რა, დიდი ხანია, დავიწყებული ჰქონდა.

ერთ დღეს „ნაცელმა“ (გზირმა) მიუტანა ბეჟანას უწყება და გამოუცხადა — „სულში“ გიბარებენ ღორის მოკვლის თაობაზეო. ბეჟანას ძრიელ გაუკვირდა ეს ამბავი, შეშინდა კიდევ, უნდოდა ერთ ეისმესთვის დაწერილებით ეთქვა იმ საჩივრის გარემოება, მაგრამ სამსჯავროში მისვლამდე, აბა სად უნდა გავგო? დანიშნულ დღეს ბეჟანა გამოცხადდა სამსჯავროში.

— შენ გიჩივიან ესა და ეს მებატონებში—წაუკითხა მსაჯულმა ბეჟანას პროტოკოლი, რომ შენ

\*) როგო—ქვეყნის სახურავი, ურმის თვალვით გათლილი ხე. როცა ტახი ძლიერ დიდი გაიხრება, ბეჭებზე „როგოს“ მზავსად ქონი გადგეკრება, რომელიც ტყვია ვერ შეატანს.

მათგან ნება დაუბრუნებლად მოგიკლავს მათ ტყეში ღორი, ითხოვენ შენგან ღორის ფასს და ჯარიმას ახალ-გამოსული სანადირო კანონის თანახმად—სულ ოთხმოც-დაჩვიდმეტს მანეთს. რას იტყვი ამაზე, ჰკითხა ბოლოს მსაჯულმა.

ბეკანა შეყვამნდა, დიდხანს ვერ ახერხებდა პასუხს. რადგანაც არ იყო დაჩვეული საჩივრებსა და დაეიდარაბას, ბოლოს, როგორც იყო, გაბედა და უთხრა:

— მე, ბატონო, ნება მაქვს აღებული, — ბეკანამ დასახებლა ის თავადი, რომლისკენაც ნადირობის ნება ჰქონდა აღებული.

— რითი ამტკიცებ, რომ ნება გაქვს აღებული? გაქვს რამე წერილობითი საბუთი?

წერილი რათ მიწადა, ბატონო? იმ კაცმა ნება მომცა — წადი და ინადირე, კაცი ხმას ვერ გაცემსო. ამის მეტი რაღა წიგნი და თამასუკი მიწადა! პირის გატეხას ხომ არ იკადრებს იმისთანა დიდი კაცი!

იქ მომხიფათი მებატონების ექვილმა რაღაც რუსულად უთხრა მსაჯულს.

— ასეთი დაუმტკიცებელი განცხადება არ მიიღება, რამე საბუთი უნდა წარმოადგინო, მიუბრუნდა მსაჯული ბეკანას.

— მე, ბატონო, იმისთანა დიდი კაცის სიტყვაზე უტყუთის საბუთი რაღა მექნება? გაიმეორა ბეკანამ.

— მეტი არაფერი გაქვს სათქმელი? შეეკითხა მსაჯული.

— მეტი რაღა უნდა მექნდეს?

აქ მებატონების ექვილმა ერთი მოკლე სიტყვა წარმოასთქვა რუსულად და მსაჯული შეუღდა განიხილების წერას. ბეკანა, რომელიც ამაზე მეტად სასჯელს იშინებდა თვის დღეშია არა ყოფილიყო, გაშტურებული უშხერდა მსაჯულს. ის, რომელსაც არ ეშინოდა მგლების ყმუილის და ბნელი ტყის საიდუმლო მღუმარების, ახლა ძლიერ შეაშინა ექვილის რუსულმა ლაპარაკმა, კლომის ფხაქა-ფხუქმა და მსაჯულის მღუმარებამ. მსაჯულმა გაათავა განიხილების წერა და დაიწყო კითხვა. კითხვის დროს ხალხი წამოცინდა ფეხზე და ისე ისმენდა. როცა მსაჯულმა კითხვა გაათავა, თარჯიმანმა ვადუთარგმნა ბეკანას, რომ განიხილების ძალით მან, ბეკანამ, უნდა

გადიხადოს ღორის ფასი, ჯარიმა და საქმის ნაწარმოები. — სულ ას ცხრა მანეთიო. საწყალი ბეკანა გაშეშდა ჯავრისაგან. როცა მსაჯული შეეკითხა — კმაყოფილი ხარ განიხივებით, თუ აველცია გადაგატესო, ხმა არ დაუძრავს; არც კი გაგებოდა, რას ნიშნავდა აველცია. — მაშ აწერ ხელს კმაყოფილებაზე? შეეკითხა თარჯიმანი. — თქვენი ნებაა, თუ არ დამლუბათ თქვენ და თქვენი ღმერთი, ძლიერ ამოიღრიტინა ბეკანამ. თარჯიმანმა ბეკანას მავიერ განიხილებაზე ხელი მოაწერინა ვიღაც ერთს დამსწრეს და ბეკანა დაბრუნდა შინ. მას მხოლოდ ერთი იმედი დარჩენოდა, რომელსაც შეეძლო ამ გარდასახადისაგან მისი დახსნა. ეს იმედი იყო თავადი, რომელმაც ნადირობის ნება მისცა ბეკანას და როცა ეს უკანასკნელად ძღვენს მიართმევდა, ყოველთვის ამ იმედინი სიტყვებით გამოისტუმრებდა: „ნუ გეშინია, ჩემო ბეკანა, ინადირე რამდენიც გინდოდეს, ჩემი სახელი ახსენე და კაცი ხმას ვერ გაცემს“ — ო.

მოვიდა თუ არა ბეკანა შინ, გააკეთებინა ცოლს ხაქაპურები, დაღო ზედ რამდენიმე ქათამი და გასწია მისი მწყალობელი თავადისკენ. თავადმა მიიღო ძღვენი, მოისმინა ბეკანას თხოვნა და შემდეგ ღონიჯ შემოაყრიო უთხრა:

— ჩემი ნაწილი მიპატივია და რაც შენებმა სხვების წილს, იქ, აბა, რა ხელი მაქვს მე!

ახლა კი მწარედ დაღონდა ჩვენი ბეკანა, თავ-ჩაქინდრული დაბრუნდა შინ და მოელოდებოდა: ახლა, აი, ახლა ჩამომიდგებიან შინ და წაიღებენ ვალში, თუ რამ მამადიაო. მაგრამ გავიდა ადერ ერთი თვე, ორი, სამი და ბეკანას კაცი არ აწუხებდა, გავიდა ერთი წელი და კიდევ არა ისმის რა. ახლა კი ბეკანამ დაიხილა თავისი თავი — „აღბად ჩემი ტყიდან დაიხოვნა უნდოდენ და შესაშინებლად მიჩივლეს, თუარა ფულს არ გადაამხდევინებენ“ — ო. მართალია, ტყის მოშორებაც არ იყო აღვილი ბეკანასათვის, მაგრამ ასი მანეთი ეალი რომ გაახსენდებოდა იტყოდა: „რა ბრძანებაა, ჩემი ოჯახი არ უთავდება, ოღონდ იმას ნუ გადამხდებიენ და, რა ვუყო, აღარ წავალ აწი ტყეში“ — ო.

სწორედ ამ იმედით წახალისებული იყო ბეკანა, რომ მას მიუტანეს ბოქაულის უწყება, რომლითაც მას უნიშნავდა ბოქაული ელას, — უტყუო მო-

ხსენებულ ვადაზე ვერ წარმოადგინე აღნიშნული ფული, შევეუდგები შენი უძრავი და მოძრავი ქონების აწერას და გაყიდვას ვალის დასაკმაყოფილებლად, ეწერა უწყებაში. გლტ ბეჟანასათვის ას ცხრა მანეთი იმდენზე დიდი ფული იყო, რომ მას, რაც უნდა ექნა, არ შეეძლო ბოქაულისაგან თავის ვადაზე იმის გადახდა. დანიშნულ ვადაზე ბეჟანას აუწერეს უფლები ხარები. მოაწია გაყიდვის რივიც. თითქოს ვიღაც მომკვდარა ოჯახშიო, ისეთი ტირილი შეიქნა ბეჟანასას, როცა ბეჟანას ხარებს.—ლომას და ჭოქას (ხარების სახელია)—ჩააბეს თოკი და მისცეს ერთ ვაჭარს, რომელმაც საზოგადო ვაჭრობიდან დაირჩინა ეს ხარები.—«არა, თავს მევიკლამ და ჩემ მარჩენელ ხარებს არ დაგანებებ! ლომი და ჭოქაი ძმებია ჩემი! დააბირა გაძალიანება ბეჟანამ. ბოქაულმა ერთ-ხანს არივა ბეჟანა და რომ ვერას გახდა, უბძანა მამასახლისს.—დატუსადგო. ბეჟანა დატუსალეს და შემდეგ ბოქაულის ოქმთან ერთად წარადგინეს, სადაც ჯერი იყო.

ბეჟანას ხარები რა თქმა უნდა, წაიყვანა იმ ვაჭარმა, რომელსაც დარჩა საზოგადო ვაჭრობით. თითონ ბეჟანა კი წელიწად ნახევარს ჩააჯდინეს სატუსალოში ბოქაულის წინაშე გაძალიანების გამო.

იმ დღიდან მოკიდებული გავიდა წლები, მაგრამ ბეჟანას სანადიროდ შინიდან ფეხი აღარ გადაუდგამს. მისი „ყიროში“ მიიყვანა ჩხაკზე\*). როცა სანადირო დარი დადგება, ბეჟანას შემოაწემა გულზე სევდა, რაღაც წყურვილი უღიტინებს გულში, შეხედავს თავის „ყიროსს“, აქეთ თოლიაც წყეტუნით და კუდის ქიციანით, თითქო ეუბნება—ერთი ამ მოხუცების დღეს გავამხიარულოთ გული, მოვიგონოთ ჩვენი საყვარელი ხელობაო. მაგრამ აქ მოაგონდება ბეჟანას თავისი ლომი და ჭოქაი, სატუსალოში ჯდომა; იქაური შეურაცყოფა და დალონებით იტყვის: «არა, ვათავდა! წაივდა ჩემთვის ის დრო! ახალი კანონი შემოიღეს!» თუ ეინვე ნახა მაყურებელი, ბეჟანა მოუყვება მთელს რომანს მონადირეთ ცხოვრებიდან. მოთხრობის დროს ისე აღფრთოვანდება, ისეთი ენტუზიაზმით აღივსება, რომ სიციხლით საესე პოეტის აღტაცება არ შეეძრება მის აღმადურენას. «მე ამ საქმეში გვივიხარდ, ავი მიყვარდა, ახლა ქე მომისპეს და აწი რაღაა ჩემი სიციხლე!» დაბოლოვებს თავის მოთხრობას ბეჟანა, ერთს მწარედ ამოიხზრებს და განუშვდება.

ე. ნინოშვილი.

### ხალხური ლექსები

(ხალხური ლექსები თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი).

**ღ**იბრე ძნელი ყოფილა,  
სიბი ქვა აეწონება,  
დაჯდება, ველარ ადგება,  
ადგომა დაეზარება.  
რაც უნდა კარგი სიტყვა თქვას,  
არაის მოეწონება.

—  
კაცი არ ვარგა უმტერო,  
არც ძრიელ მტერ-მორყული.  
კაცი არ ვარგა უცოლო,  
არც ძრიელ ცოლ-მორყული.

—  
მამაშენმა ცოლი შეგროთო,  
შავი იყო არაბს ჰეაედა;  
შენ ცარიელს პურს გაჰმეედა,  
თვითონ ქათამს დაიკლავდა.

იმას შენ რაღათ უნდოდი,  
იმას ოცი სხეცა ჰყავდა.

### სიკვდილი და ობოლი

სიკვდილმა ჩამოიარა,  
ბერკაცი დახედა წინაო,  
შეუტახუნა ბერკაცმა,  
სიკვდილი შეაშინაო.  
იმას გამოსცდა სიკვდილი,  
ობოლი შეხედა წინაო.  
— მე მომკაო, ჩემო სიკვდილო,  
ობოლია მომეწყინაო.  
— შენ არას გერჩი, ობოლო,  
შენი პატრონი ვინაო?  
არცა გაქვს სანთელ-საქმელი,  
არც სულდრავი შინაო!

\*) ჩამოსაკიდებელი კავია.

# ბანსხალეუანი

სამეცნიერო და სალიტერატურო გამეტი

## „კვალნი“

ხელის მოწერა „კვალსე“ ამ 1893 წელს განიგებობა წლიურად და ღირს 8 მანეთი. ვისაც მეორე ნახევარი წლის ფული არ შეძურჯანა, ვთხოვთ დასქართონ ფულის შემოტანა. სოლო ვისაც ჰსურს გახეთის ახლად დაბარება ნახევარი წლით დამდეგის ივლისის თვიდან, უმორჩილესად ვთხოვთ მათ ღრით შეგებტობინონ.

გახეთი ნახევარი წლით ღირს კვახე-  
ნით—4 მანეთი, სამი თვით—2 მანეთი, ორი თვით—1 მანეთი და 50 კ., ერთი თვით—1 მან. აღრესის გამიჯვლა ღირს 60 კ.

## სებაღა-სნოა წარმოება

### „როკვი“

მისალო სტეფანეს მის მეთანიშვილისა

ქ. ბათუმში.

ამ ბაღში მოჰყავთ ცხელი ქვეყნების, ორანჟერის, და სახლის მოსართავი მეცენარეები. აგრეთვე ისეიდება იმათი ნერგები და ყვავილების ძირები.

რადღან ქ. ბათუმში ცხელი, თითქმის ტროპიკული ჰავა, ამისგამო მეთანიშვილის ბაღში მოჰყავთ და უფლიან ძვირფას ტროპიკულს მცენარეებს, რომელნიც ჩრდილოეთის ჯრილ ჰაერში არ ხარობენ და მსურველთ შეუძლიანთ მათ გემოვნებისამებრ მოიპოვონ ყოველნაირი ამგვარი მცენარეები, რომელნიც ოთახის ბაღ ჰაერში ხარობენ.

მეთანიშვილის ბაღში არის ამ ჟამად ორასი ჩანის იარღისა, ბურბონისა, რემონტატივისა და სხეანარი ვარდების ნერგები. ხეხილის ნერგები საუკეთესო რუსეთის რეკროპის გვარისა, ორისა და სამის წლისა, ფიჭვეული და ლიბანის კედრის მგზავსი ხეების ნერგები; ჩირავეული მცენარეები ყოველგვარნი, რომელნიც მუდამ მწეობენ, ანუ რომელთაც ზამთრობით ფოთოლი სცივათ.

სია ამ მცენარეებისა დაბარებისათნავე უფასოდ იგზავნება.

სტილისა და ქუთისის

და სხეგანაც ყოველან, სადაც, ან ვისთანაც ქართული წიგნები იშოვება

ისეი დება

## სალაშური

სასიმღერო ლექსები აკავისა

სამ შაჰრად

და

## აკლდეები

ქრისტანობის პირველ საჟინთა ცხოვრების ამბავი ათი შაჰრად

რაც უკანასკნელის წიგნების გასაღებით ნაღდი მოვება დარჩება, ის ფული გამოცემლის სურვილისამებრ, ქართულთა-შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გადაეცემა.

## „მართელთა ამხანაგობის“

### წიგნის მალაშიაში

ისეიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

თხზულებანი ა. ყახბეგისა (მოახუბარიძისა) ავტორის სუ-	მ.—კ.
რათით და ფაქსიმილეთი. სამი ტომი, თითო ტომი ცალკე:	1—20
იგივე მშვენიერს ქალაღზე და მშვენიერისავე ყლით, თითო ტომი ცალკე.	2—50
სამი ტომი ერთად	7—
სრული სამხარელო ქართულისა და ევროპული საქმელებისა.	1—20
იგივე ყლით.	1—40
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი	—80
იგივე მშვენიერის ყლით	1—25
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეკენდა პოემა ბაჩანასი	—80
ხალხური ზღაპრები I ნაწილი	—15
იგივე ყლით.	—75
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანაისი (მედელონი)	—40
იგივე მშვენიერის ყლით	—90
თხზულებანი ი. ჯაჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I	1—20
იგივე კარგს ქალაღზე, მშვენიერის ყლით	2—50
ტომი II	1—
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით	2—50
ჩანები	1—
თხზულებანი ა. ყახბეგისა ტომი მე-IV	1—20
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით	2—50
სოფლის კუნწული, და მახანელისა	—20
იხა, ორი წიგნი, თარგ. ჯაჭავაძისა, ტომი IV	1—60
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით	3—
კედლის ქართული კალენდარი	—40
თხზულებანი აკავისა, ტომი I ფასი	1—
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით	2—50
თხზულებანი მისივე ტომი II ფასი	1—
იგივე კარგს ქალაღზე მშვენიერის ყლით	2—50